

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს აგროინჟინერიაში თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი; შეასწავლოს სამანქანო ტექნოლოგიების, აგრეთვე სამელიორაციო სისტემების გამოყენება სოფლის მეურნეობაში; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვისა და მიწების დაშრობის პროექტების განხორციელება თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენებით; სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების იდენტიფიცირება და სერვისის ორგანიზება სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად; სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მანქანათა კომპლექსის საექსპლუატაციო პარამეტრების განსაზღვრა და ძირითადი რეგულირებები აგროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად; შეუქმნას კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მყარი საფუძველი, რათა მიღებული განათლებით წვლილი შეიტანონ აგროინჟინერიის სფეროს გამართულ მუშაობაში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- გააჩნია აგროინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ზოგიერთ უახლეს ასპექტებს;
- შეუძლია აგროინჟინერიის სფეროსათვის დამახასიათებელი პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის.
- არჩევს ბუნებრივ-კლიმატური, რელიეფური პირობებისა და აგროტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების სამანქანო ტექნოლოგიებს, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების საექსპლუატაციო პარამეტრებს;
- აგროტექნიკური მოთხოვნების დაცვით არჩევს და იყენებს სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების სამუშაო ორგანოების რეგულირების წესებს;
- ახდენს ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების სერვისის ორგანიზებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით;
- ახორციელებს წყალსამეურნეო სისტემების მართვას საექსპლუატაციო პარამეტრების დაცვით;
- აგროინჟინერიის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების საფუძველზე განმარტავს ირიგაციისა და სადრენაჟე სისტემების საექსპლუატაციო პარამეტრებს, ნიადაგობრივი და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- გეგმავს მიწების მელიორაციულ ათვისებასთან დაკავშირებით პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ანალიზებს სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების განხორციელებისას მიღებულ ინფორმაციას და აყალიბებს სათანადო დასკვნებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე ეთიკის სტანდარტების დაცვით;
- დამოუკიდებლად აფასებს რა საკუთარი სწავლის პროცესს, გეგმავს სწავლის გაგრძელების შემდგომ საჭიროებას და წარმართავს მას.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია: <https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	უცხოური ენა	
1.1	ინგლისური ენა – 1	5
1.2	გერმანული ენა – 1	
1.3	ფრანგული ენა – 1	
1.4	რუსული ენა – 1	
2	საინჟინრო მათემატიკა 1	5
3	ზოგადი ფიზიკა 1	5
4	ზოგადი და არაორგანული ქიმია	6
5	გამოყენებითი ინფორმატიკა	5
6	ტექნიკური ხაზვა	5
7	უცხოური ენა	
7.1	ინგლისური ენა – 2	5
7.2	გერმანული ენა – 2	
7.3	ფრანგული ენა – 2	
7.4	რუსული ენა – 2	
8	შესავალი სპეციალობაში	5
9	აგრონომიის საფუძვლები	4
10	საინჟინრო მათემატიკა 2	5
11	ზოგადი ფიზიკა 2	5
12	ჰუმანიტარული არჩევითი კურსები	
12.1	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	
12.2	ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა	
12.3	საქართველოს ისტორია და კულტურა	

12.4	სოციოლოგია	5
12.5	ფილოსოფიის შესავალი	
12.6	გამოყენებითი ფსიქოლოგია	
12.7	რელიგიების ისტორია	
12.8	პოლიტოლოგია	
12.9	დემოკრატია და მოქალაქეობა	
12.10	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	
13	უცხოური ენა	
13.1	ინგლისური ენა - 3	5
13.2	გერმანული ენა - 3	
13.3	ფრანგული ენა - 3	
13.4	რუსული ენა - 3	
14	გამოყენებითი მექანიკა-1	5
15	მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა	5
16	შრომის უსაფრთხოება აგროსაწარმოებში	5
17	ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები	
17.1	პროგრამული უზრუნველყოფის „AutoCAD“-ის გამოყენება საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტაში	5
17.2	დაპროგრამების საფუძვლები	
17.3	საინჟინრო მათემატიკა 3	
17.4	გეოდეზია ტოპოგრაფიის საფუძვლებით	
18	ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები	
18.1	ზოგადი ეკოლოგია	5
18.2	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	
18.3	მელიორაციული მიწათმოქმედება	
18.4	ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები	
18.5	ზოგადი მეცხოველეობა	
18.6	ნიადაგმცოდნეობა გეოლოგიის საფუძვლებით	
18.7	გლობალური ცვლილებები	
18.8	გარემოს დაცვითი გეოგრაფია	
19	უცხოური ენა	
19.1	ინგლისური ენა - 4	5
19.2	გერმანული ენა - 4	
19.3	ფრანგული ენა - 4	
19.4	რუსული ენა - 4	
20	სამელიორაციო ჰიდროგეოლოგია	5
21	გამოყენებითი მექანიკა-2	5
22	გრუნტების მექანიკა, ფუძე საძირკვლები	5
23	ჰიდრაულიკა	6
24	აგრობიზნესის ეკონომიკის საფუძვლები	4
25	ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის საფუძვლები	5
26	სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები	5
27	ცხოველთა საკვების დასამზადებელი მანქანები	5
28	სამელიორაციო სატუმბი სადგურები	6
29	ხმელეთის ჰიდროლოგია და ჩამონადენის რეგულირება	5
30	სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია	4
31	გარემოს დაცვის საინჟინრო საშუალებები	4

32	სასოფლო-სამეურნეო მანქანები 1	5
33	ირიგაცია	6
34	მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია	5
35	სამელიორაციო ჰიდროტექნიკური ნაგებობები	5
36	სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება	5
37	სასოფლო-სამეურნეო მანქანები 2	5
38	სამშენებლო და სამელიორაციო მანქანები	5
39	პრაქტიკა აგროინჟინერიაში	15
40	სპეციალობის არჩევითი კურსები	
40.1	ჩამდინარე წყლების გაწმენდა	5
40.2	წყალთა მეურნეობის ეკონომიკა	
40.3	გარემოს დაცვა და ჰიდროეკოლოგია	
40.4	სამშენებლო მასალები, სამუშაოები და კონსტრუქციები	
40.5	მასალათა გამძლეობა	
40.6	ჰიდროეკოლოგია	
41	სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორებისა და მანქანების ტექნიკური სერვისი	5
42	ჰიდრომელიორაციული სისტემების ექსპლუატაცია	5
43	საბაკალავრო ნაშრომი	5
44	ჰიდრომელიორაციული სამუშაოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია	5
45	დრენაჟი	5
46	წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა	5